

ბაიბოს ოთხგაბათი

№47 (311)

# ქართული სიტყვა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“  
ვანო ვანო

ფასი 1 ლარი

2 – 8 დეკემბერი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა



»»» 33-4 გვ.

თემო შურვანიძის პროგნოზები და შეფასებები

„ნაციონალები“ გველუშავეზივით არიან – ახალი შხაშიანი თავები ამოვლითო“

„როცა პოლიტიკური აქტივობა შეწყდა, „პატრიოტთა ალიანსმა“ უზარმაზარი საპროტესტო ტალღა ააგორა – განაგსოლოდ „ცინის კადრები“, აწნისტიის კანონპროექტი, მიტინგები – ყველაფერმა აგან ბიძინა ივანიშვილს საშუალება მისცა, ხელისუფლება უსისხლოდ, არჩვენების გზით გადაეხარებინა, თუმცა ამის მერე დინყო ბაკანალია და დღემდე ბრძოლდება... რაც შეეხება დფასებას, მინდა, ბითხრათ, რომ რასაც ვაკეთებდი, გულით ვაკეთებდი. ჯილდოს არავის ვთხოვ, მით უმეტეს, – ბიძინა ივანიშვილს. ისიც ჩემსავით ამ ქვეყნის მოქალაქეა, მას ჩემზე მეტი გასაქანი აქვს და ქვეყნისთვის ბევრად მეტს გააკეთებს“.



»»» 33-12 გვ.

როგორ აფასებს „პატრიოტთა ალიანსის“ საპროტესტო აქციებს და რას მიიჩნევს ქართული სამართლის პარადოქსად სოსო მანჯავიძე

## ზურაბ ჟვანიას ბოლო დღეების სკანდალური ქრონიკა

გარდაცვლილი პრემიერის მეგობარი პოლიტიკოსი მარინა შენგელია კულუბარებს იხსენებს




»»» 33-8-9 გვ.

„წინო ზურას საფლავზე არ თუ ვერ მიდიოდა. ერთხელ, აღარ გახსოვს, გარდაცვალების თუ დაბადების დღეს, ერთად წავიდი და გაშინ ვუთხარი, დაპირისპირებაში ორივეს გავნოთ-მეთქი. დამეთანხმა და მომიგო, ერთადერთი, გული იმაზე მწყდება, რომ შერიგება ვერ მოვასწარიო.“

## მუფთი: „სირიაში წასვლაზე, მეზობლები ოჯახებს 15 ათას დოლარს უტოვებენ...“

რისთვის მივიდა გუგის ავითქებისთვის გასამართლებული ვოვა არუთინიანის დედა „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოში“

»»» 33-10-11 გვ.



»»» 33-11 გვ.

რუმინული დაზვერვის ოფიცრის სკანდალური აღიარება












„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენა, ჩემო ნათელო – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

გამომდის გახსენება

ილია
ყოფნა ჭიდილია,
გრძობა ტკივილია,
სიტყვა ჩივილია,
ფიქრი დუმილია,
დუმილი ძილია,
ძილი სიკვდილია,
ძელი გათლილია,
გზა გამოვლილია,
დღე დათვლილია,
დადგენილია
და, აჰა, თოფი დატენილია.
მკერდს ნატყვიარი დარჩენილია,
ტყვია შიგ გულში ჩაჭყდილია,
იმედის ძაფი განწყვეტილია,
სული კანის ნაწყმედილია,
სისხლის მსმელი ხომ არ დაილია,
თუმც რწმენის თასი არდაცლილია,
ძირზე ნუგეში ჩარჩენილია,
ვინც სულიწმინდით გაჩენილია
და ბარაბაზე არგაცვლილია,
ზეცის შვილია,
მზის შობილია,
ძედ ხმობილია,
ხსნად ხმობილია,
კვლავ აღსადგომად გარდაცვლილია
და არხმობილია,
მამა კეთილია,
ძელი კვეთილია,
გზა თუ წყვეტილია,
ანყო ყოფილია,
ყოფნა ჭიდილია,
გრძობა ტკივილია,
სიტყვა ჩივილია,
ფიქრი დუმილია,
დუმილი ძილია,
ძილი სიკვდილია,
სიკვდილი ტყუილია.
ქეშმარიტება სულზე ტკივილია.



მამუკა ხაყქვაძე

მამაო ჩვენო, დიადო, ხარ ცათა შინა რომელი,
ძალი სიკეთის მოქმედი, მარადღუამს დაუცხრომელი,
მსაჯული კაცთა ცოდვილთა, მოწყალე და უწყრომელი
და ჩვენდა საკეთილდღეოდ დაულაღავად მშრომელი.

თუმც მეუცხოვება ბალი გალობილი,
კარს ნუ გამოკეცავთ, იყოს გაღებული.
კმარა, გვედრებით მუხლზე დამხობილი,
ცოდვა ჩადენილი, მსხვერპლი გაღებული.
აქ წმინდა ანდრია რად არის ნამყოფი?!
ნუთუ, სამართალი ქვეყნად არ ყოფილა...
გული გაპობილი, ორად გაყოფილი,
ჯერ არ მონყვეტილი ერთი ხის ნაყოფი.
თუმც, ნაყოფს თუ გული არ აქვს ჭიანი,
ღმერთს ვთხოვოთ, ვილოცოთ, ეგებ

გაამთელოს და უფსკრულის პირზედ მომდგარ საქართველოს
სხნად გამოუგზავნოს მეგზური ჭკვიანი.
ჩვენი წინაპრების წმინდა სამარხებით,
ეს ხომ ღვთისმშობლის არის სანახები.
მოდით, დავინახოთ, ნახვით გავიხაროთ,
ძმები შევიყვაროთ, აღარ გავიყაროთ.
თავად მაგონდება, არა, არ ვიგონებ,
ცრუ და ყალბ სტრიქონებს მხოლოდ

საგაზეთოდ.
სწორედ გამიგე და, გონით გამიგონე,
თავს ნუ დაიღუპავ, ჩემო აფხაზეთო.

მითხარი, მითხარი, პატარა ნაკადულო,
რაზე ვარ ასე მონყენილი?
როგორც ყვავილი მონყვეტილი,
მე ისე ვხმები,
არც იადონის ღამაში ხმები,
არც ვარსკვლავების არ მახარებს
მკრთალი ნათება,
მითხარი, პატარა ნაკადულო,
რა მემართება?
არისო ერთი საიდუმლო, რაც ყველამ იცის,
ასე ამბობენ, საიდუმლოში, თურმე,

ფარულში,
უნდა ეძებო ღიმილი,
ღიმილი სინარულში,
სინარული – ბედნიერებაში,
ბედნიერება – თავისუფლებაში,
თავისუფლება – შენში,
შენი თავი – სხვის შორის,
სხვები – მინაზე,
მინა – ზღვებს შორის,
ზღვები – შენს პლანეტაზე.
შენი პლანეტა – სხვა პლანეტებში,
სხვა პლანეტები – უსასრულობაში,
უსასრულობა – სიმღერაში
და უნდა იმღერო
და თუ იმღერებ,
აღარ იქნები მონყენილი,
როგორც ყვავილი მონყვეტილი,
მითხარი, მითხარი,
პატარა ნაკადულო,
სულ რომ მღერისხარ,
განა, ყოველთვის
ბედნიერი ხარ?!

მამუკა ხაყქვაძე – მარადიულში წასული ნიჭიერი მამულიშვილი
მამუკა ხაყქვაძე წელს 60 წლის გახდებოდა, მაგრამ რას ვიზამთ, 42 წლის წავიდა იქ, მარადიულში.

იყო შესანიშნავი პოეტი და მამის, ანზორ ხაყქვაძის გენი უღამაზებდა შემოქმედებას. გავისხენოთ და იცოდეს შთამომავლობამ, რომ არსებობდა ნიჭიერი და მგზნებარე მამულიშვილი.

სწამდა, სჯეროდა და ამბობდა:
„თავგანას ვცემ და ვადიდებ
ყოვლის შემოქმედ დიადსა,
შენ განგვაშორებ ბოროტსა,
დაგვსწნი ღამისა წყვიდადსა!“
ეპ, ჯერ კიდევ როდის წერდა:

„თავად მაგონდება,
არა, არ ვიგონებ
ცრუ და ყალბ სტრიქონებს
მხოლოდ საგაზეთოს,
სწორედ გამიგე და
გონით გამაგონე,
თავს ნუ დაიღუპავ,
ჩემო აფხაზეთო!“
მამუკა ხაყქვაძეს გაუმარჯოს აქაც და იქაც, მარადიულში!
„კარს ნუ გამოკეცვავთ,
იყოს გაღებული!“
ჩემო მამუკა, ღია კარი შენი პოეზიისა!
„ქართული სიტყვა“ გათავაზობთ ანზორ და მამუკა ხაყქვაძეების ლექსებს.
ჯანსუღ ჩარკვიანი

ანზორ ხაყქვაძე

რაც ჩემგან არს – მევე მერთვის,
მევე ვიქმ ჩემს თავს საყვარალად,
მევე ვარ ჩემი ღმერთის ღმერთი,
ჩემივე თავის საქანელა.
წვეთი ზღვისა – წვეთში ზღვა ვარ!
უნებობის მწებობს ნება.
სხვისი მე ვარ, ჩემი სხვა ვარ –
შეხვედრა და განშორება.
ვარ მშობელი ორი ძმისა,
ორი უბედურის ყმისა.
ერთი ძმისა ძმის მსხნელისა,
ძმის მკვლელისა – მეორისა!
ისიცა და მეორეცა,
ბრალ არს ჩემი ქალობისა...

ველად მიდის შვიდი ვაჟი,
შვიდივ ზემო სოფლიდანა,
მიაქვს შვიდი მხარი თოკი,
შვიდი გული, შვიდი დანა!
ველად დაქრის შვიდი რაში,
შვიდი ფერის ქარისთანა,
ერთი ისე მოთამაშობს –
ფაფარს აგდებს მთვარესთანა!
– ვინც მე ამ ცხენს შემეცილოს,
მისი გული – ჩემი დანა!
– ვინც მე ამ ცხენს შემეცილოს,
არ დაუნყო ანაბანა!
– ვინც მე ამ ცხენს შემეცილოს,
მინას გაუთანაბარო!
– ვინც მე ამ ცხენს შემეცილოს,
თვალზე ბინდი დავაფარო!
– ვინც მე ამ ცხენს შემეცილოს,
სულეთს სიტყვა დავაბარო!
ველად დაქრის შვიდი ქარი,
ველად ელაგს შვიდი მთა,
შვიდი მზე და შვიდი მთვარე
იფერფლება თანდისთანა!
ზემო სოფელს შვიდი ქალი
იცლებოდა ცრემლიდანა:
მე რომ ბიჭმა შემეყვარა,
შვიდში ერთი იმისთანა!

.....
შვიდი ცხენი!
შვიდი ქარი!
შვიდი გული!
შვიდი დანა!

ანტიპოპრეტრიქტი
მოვდივარ, გული მაქვს სიმღერით ავსილი!
(რტოებიც ფოთლებით ივსება)
ხავერდის ხალათი, საყვლო გახსნილი,
ჯიბეში პრიმა და ლექსები.
მოვდივარ... შვენი ტკბილია თაფლივით...
მოვდივარ... სიცოცხლეს ვალმერთებ!
მოვდივარ... მხარდამხარ მომყვება
აპრილი,


ანი და ბანი
(ვახტანგ VI-ს გახსენება)

„ანი, ბანი და განი და“
ნეტა რა მინდა, რა მინდა?
ან მინდა თავის სიკვდილი,
ანდა სხვაიმე რა მინდა!

უფრო მე მინდა ტკივილი –
ძმისთვის მომკვდარი ძმა მინდა!
ღამაში ქალის ძუძუზე
ცეცხლოვებული ძმა მინდა!
ან კიდევ მინდა...
რა მინდა?
მზეს მინახები ფრთა მინდა!
ძირს დაცემული სასიძო,
დაქერივებული და მინდა!
მინდა საყვარლის ქორნილი –
შხამის თასების ცლა მინდა,
განძილებული მორწმუნე –
დამორცხვებული ცა მინდა!
ან კიდევ მინდა...
რა მინდა?
ეგებს სხვა არცა-რა მინდა?!
მინდა შენ მყავდე ცოცხალი!
(შენთვის სიკვდილი არ მინდა).
ჯერე შენ მოკვდი, მერე მე,
რომ ვთქვა, სიცოცხლე არ მინდა!
„ანი, ბანი და განი და“
რანი და მოვაკანი და
გასრულდა ყოვლი ნერილი:
სახლი და ბანი, კარი და...
„ანი, ბანი და განი და“
ნეტა რა მინდა, რა მინდა?
ან მინდა თავის სიკვდილი,
ანდა სხვაიმე-რა მინდა!

იასამანი
გული ამიმღერდა ცისფერ სავანეში,
ასეთ სილამაზეს მივესალმება.
ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში,
თუ არ ჩამატანეთ იასამნები!
მჯერა, ბევრი დამრჩა კიდევ სავალი,
გზებზე ყვავილებით სავსე კორდები,
ქალივით ჩურჩულებს იასამანი,
თითქოს სიყვარულის ცეცხლი მოსდებია.
ნიაჟი, მაისი, ბალში, სავანეში...
ასეთ მაისებში გზა სავალი!
ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში,
თუ არ ჩამატანეთ იასამანი!

მოვს სიზარამი
სიცოცხლე მთების გადაღმა მიქრის,
თვალი ყოველის ნახვას ინელებს,
ვდგავარ და მზეთა ამოსვლას ვითვლი,
აღმოსავლეთით ველი სიბერეს.
მოვა და თერთად თმებს შემოილება,
როცა ცხოვრებით დაღლილ ვიქნები,
მოვლენ, მომთხოვენ პასუხისგებას
ლექსები – ჩემი ყრმობის ფიქრები.
ვიტყვი მე: იმ დროს ვიყავი ბეცი
და გულში მქონდა პატარა სევდა,
უნახეს თვალებს ვერ გავექვცი
და სიყვარული ფეხდაფეხ მდევდა.
რა ვუყოთ მერე, დრომ ასე იცის,
ერთხელ ლექსებშიც მოვა ანთება,
ახალგაზრდობა დაინყვს სიცილს,
კაცს სიყვარული დაემართება.
სიცოცხლე მთების გადაღმა მიქრის,
თვალი ყოველის ნახვას ინელებს,
ვდგავარ და მზეთა ამოსვლას ვითვლი,
აღმოსავლეთით ველი სიბერეს.











საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს


„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

ტოლერანტობა

„სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ მუფთს, იასინ ალიევს მეიდანზე, ჯუმა მეჩეთში ვენივე. აქ, ერთ სივრცეში, ერთმანეთთან ახლოს, მართლმადიდებლური სალოცავები, სომხური ეკლესია, სინაგოგა მდებარეობს. როცა ამ სილამაზეს უყურებ, ფიქრობ, რომ ღმერთი ყველათვის ერთია, მხოლოდ სახელი აქვს სხვადასხვა... რატომ მიდიან ქართველი მუსლიმანები, მათ შორის, ქალებიც „ისლამური ხალიფატის“ წევრებად, როდის გაჩნდა ცნება — „რადიკალური ისლამი“, რა არის „ჯიჰადი“, რა თანხას უტოვებენ საკუთარ ოჯახებს სირიაში საბრძოლველად წასულები, ვინ არის ჭეშმარიტი მუსლიმანი და ვინ არღვევს ყურანის მცნებებს, ვინ მოხვდება სამოთხეში და ვინ აფინანსებს ახლო აღმოსავლეთის ომებს, ემუქრება თუ არა საქართველოს ტერორიზმი, იყო თუ არა „შარია ებდოს“ ტრაგედია 13 ნოემბრის პარიზის ტერაქტის შესავალი? — ამ და სხვა საკითხებზე „ქართული სიტყვა“ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ მუფთს, ჰაზვი იასინ ალიევს ესაუბრა:

სტერია. სპეციალურ მომზადებას სად გადიან? — ვფიქრობ, სადაც ამზადებენ, სხვანაირად არ იქნება, მაგრამ არ მაქვს ინფორმაცია, ეს სად ხდება. — ტერორისტულ ორგანიზაციებს ვინ აფინანსებს? — მსოფლიო ამბობს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგია. ევროპა, რუსეთი, აშშ, სირია, ერაყი — ყველანი „ისლამური ხალიფატის“ წინააღმდეგ გამოდიან, მაშინ, საიდან

როცა საქართველოში რალაც გვიხარია, ვამბობთ: „გაუმარჯოს საქართველოს“, ან „უფალი ვადიდოთ!“ — არის თუ არა ეს მესამე მსოფლიო ომის საფრთხე? — პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ იმას, რაც დღეს სირიაში, ახლო აღმოსავლეთში ხდება, ისლამთან კავშირი არ აქვს. ჭეშმარიტ მუსლიმანს ეს ან უხეხს. სირიასა და ერაყში მართო მუსლიმანები არ იბრძვიან, იქ მრავლად არიან ვეროპელები, რუსები, აშშ-ს მოქალაქეები, რატომ ახსენებენ მხოლოდ მუსლიმანებს?! თავად მე, ბაქოსა და ბაღდადში ორი უნივერსიტეტი დავამთავრე, ერთ ნიგნშიც არ წამიკითხავს, რომ ისლამის მიმდევარმა ვინმე უნდა მოკლას. პირიქით, ასე წერია, ვინც ერთ მშვიდობიან მოქალაქეს მოკლავს, ჯოჯოხეთში აღმოჩნდება.



მუფთი: „სირიაში წასვლაზე, მებრძოლები ოჯახებს 15 ათას დოლარს უტოვებენ...“

რისთვის მივიღა გუშის აფეთქებისთვის გასამართლებული ვოვა არუთინიანის დედა „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოში“

— საბჭოთა დროს ყველანაირი რელიგია აკრძალული იყო. მორწმუნეები ჩუმად ღოცულობდნენ, ზოგი სალოცავშიც ახერხებდა მისვლას. საქართველო მრავალეროვნად ქვეყანაა, დემოკრატიული, სტუმართმოყვარე, ამიტომ ჩვენც, მუსლიმანები თავს დაცულად ვგრძნობთ, სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებთან ერთად, მშვიდობიანად ვცხოვრობთ. მეიდანზე, სადაც ჩვენი ჯიმა მეჩეთია, ქრისტიანული, გრიგორიანული, ებრაული სალოცავები საუკუნეების წინ აგებულ შენობებშია განთავსებული. აქ ყველა ერთი, საუკუნეების განმავლობაში, ურთიერთპატივისცემაში ცხოვრობდა...

„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკები დამოუკიდებელი ქვეყნები გახდნენ. რუსეთი მართლმადიდებლური ქვეყანაა, მაგრამ როცა დამოუკიდებელ საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანს თავს დაესხა, არავის უთქვამს, რუსები ტერორისტები არიანო. რელიგიური ნიშნით მხოლოდ მუსლიმანებზეა ლაპარაკობენ. ეს ჩვენ გვანახებს... ზოგადად, როცა მუსლიმანს ეარჩიან, არაფერს აგზობენ და ყველაფერი ეს მათი ღმერთის ხელშია, ვინც ისლამის სახელით ბოროტებას სჩადის.“

მოდის ამდენი ფული, რაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ომის წარმოებისთვის იხარჯება, თანამედროვე იარაღი, აღჭურვილობა, მეომრების ხელფასი, კვება, საიდან ყველაფერი ეს? ჩემი პასუხი ასეთია: ისევ პოლიტიკა! როცა სირიასა და ერაყში მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყო, პოზიცია-ოპოზიცია ფულს თავისი დამფინანსებლების წყალობით შოულობს, სხვებსაც ითრევენ ბრძოლაში და ქვეყანას აჩანაგებენ და ყველაფერი ეს რატომღაც ისლამის სახელით ხდება. — თუკი „ყურანში“ — მუსლიმთა წმინდა წიგნში, ძალადობის პროპაგანდა არ დევს, მაშინ, რას ეყრდნობიან მეომრები, რომლებიც „ალლაჰ აკბარ“ — ის შეძახილით კლავენ, იბრძვიან? — ასეთი შეძახილი ირანშიც გამოიგონია, ეს სიტყვები ნიშნავს „ალაჰი დიდებულია“.

როცა საქართველოში მცხოვრები მუსლიმანები ვაცნობიერებთ, რომ თითქმის საომარ მდგომარეობაში ვართ, აქაც საჭიროა ქვეყნის დაცვა. თუკი მუსლიმს ის სახელმწიფო არ უყვარს, სადაც დაიბადა და გაიზარდა, მას რწმენაც არ აქვს. — როგორ ფიქრობთ, საქართველოს ტერორიზმის საფრთხე ემუქრება? — არ მგონია, საქართველოში მუსლიმებს დაპირისპირება არავისთან აქვთ. — აბა, ინტერნეტში გაგრძელებული ზემოხსენებული მიმართვა რას ემსახურება? — იმას ემსახურება, რომ რაც შეიძლება მეტი შეუერთდეს „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს. — მიმართვის ტექსტი სასტიკია, ქაფიერებს თავებს დაფარევენ... — მუსლიმები შესანიშნავად გამზადებულ ცხოველებსაც კი ეფერებიან, ჭეშმარიტი მუსლიმანი ადამიანებს თავებს როგორ დააჭრის? ასეთებს რელიგიასთან კავშირი არ აქვთ, ესენი არიან გამგეცხელებული ადამიანები, რომლებსაც ოჯახები ამოუწყვიტეს, ქონება დააკარგვინეს, საკუთარი სამშობლოდან აყარეს და ქუჩაში დააგდეს. — კაცობრიობამ გადაიტანა ჯვაროსნული ომები, ფაშაზმი, მაგრამ ეს ლოკალური ომები იყო, დღეს არ ვიცით, სად იფეთქებს ბომბი, ვის სიცოცხლეს შეინარავს... — ზესახელმწიფოები არასწორ პოლიტიკას ეწევიან, მათ პატარა ქვეყნების განადგურების გეგმა აქვთ. აშშ და რუსეთი საკუთარ ძალას ერთმანეთს სხვის ტერიტორიაზე — ახლო აღმოსავლეთში აჩვენებენ, აბა, საკუთარ მიწაზე ხომ არ იბრძობებენ?! არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ამბობენ, თურქეთი მთიან ყარაბაღში შეჭრას აპირებსო, ამას, ბუნებრივია, რუსეთის რეაქცია მოჰყვება, რომელიც სომხების ინტერესებს დაიცავს და რა შუაშია აქ ისლამი?! — საქართველოში აგრესიული ისლამის იდეები ვის შემოაქვს? ხომ არ უხეხვდებიან უცხო პიროვნებებს, რომლებიც ხალხის გადაბირებას ცდილობენ? სირიაში მებრძოლი „სახელგანთქმული“ საველე მეთაურები პანკისის ხეობიდან არიან. — ამ ბოლოს საზღვარგარეთიდან არავეინ შემომჩენია, ადრე, 90-იან წლებში, რუსებსა და ჩეჩნებს შორის ომის დროს, უცხო პირები დადიოდნენ და ჩეჩენთა დასახმარ-

— ისლამი სამ წმინდა წიგნს აღიარებს, რომლებიც კაცობრიობის უდიდესი აზროვნების ნაყოფია: „ბიბლიას“, „თორას“ და „ყურანს“. ჩვენთვის სამივე წმინდაა. ასე დაგვიტოვეს წინაპრებმა, მაგრამ არის მესამე ძალა, რომელიც ხელის შეშლას ცდილობს და ეს ძალა პოლიტიკაა. — ამბობთ, რომ ისლამის მიმდევარს ნაციონალიზმს არ აქვს. ეს რას ნიშნავს? — როცა მუჰამედ წინასწარმეტყველი მეზობლის დახმარებისკენ მოგინოდებს, ამბობს, თუკი შენ მაძლარი ხარ და მეზობელი მშიერი, შენ რწმენა არ გქონია. და კიდევ: როცა იგი ამბობს, ღარიბებს დაეხმარეო, ყველა შემთხვევაში, ხელს ადამიანისკენ იშვერს, არაფერს ამბობს მის ნაციონალიზმზე. ამიტომ ვამბობთ, რომ ისლამი ნაციონალიზმს მნიშვნელობას არ ანიჭებს. — ბოლო დღეებში „ისლამური სახელმწიფოს“ გარშემო მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ინტერნეტში გაგრძელებული ვიდეო, სადაც საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი მუსლიმანი ახალგაზრდები ქაფიერებს სასტიკად ემუქრებიან. საიდან ეს აგრესია? აკი, მითხარით, აქ მუსლიმანებს არავინ გვერჩის და მშვიდად ვცხოვრობთ... — ისინი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში საბრძოლველად მუსლიმანობის სახელით წაიღებენ, მაგრამ ჭეშმარიტი მაჰმადიანი

კაცის მოსაკლავად არსად წავა. — თქვენი აზრით, მაშ, რატომ წავიდნენ? — პირველ რიგში, ფინანსური ინტერესის გამო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მათ წინასწარ უხდიან თანხას, წასვლამდე ოჯახებს 15 ათას დოლარს უტოვებენ, საბრძოლო მოქმედებების შემდეგ, ნაალაფარსაც იღებენ და იქიდანაც აქვთ შემოსავალი. მათ არწმუნებენ, რომ ქაფიერების წინააღმდეგ ბრძოლაში თუკი ერთს მაინც მოკლავენ, სამოთხეში მოხვდებიან, თუ თავად მოკვდებიან, სიკვდილის მერე, სამოთხეში შეიხები გახდებიან. — გამოდის, რომ ნებისმიერ ვარიანტში, სამოთხეში ხვდებიან, არა? — ეს ის ხალხია, ვისაც „ყურანი“, წმინდა წიგნები არასოდეს წაუკითხავს. — საბრძოლველად ახალგაზრდები მიდიან, ზოგ მათგანს ხელში იარაღი არასოდეს

„საქართველოში მცხოვრები მუსლიმანები ვაცნობიერებთ, რომ თითქმის საომარ მდგომარეობაში ვართ, აქაც საჭიროა ქვეყნის დაცვა. თუკი მუსლიმს ის სახელმწიფო არ უყვარს, სადაც დაიბადა და გაიზარდა, მას რწმენაც არ აქვს... მუსლიმანი მუსლიმანებზე უფრო უხეხილია, ვინც ისლამის სახელით ბოროტებას სჩადის.“



ქვეყნის მოსახლეობისათვის  
გაგანობილია სპეციალური კომპლექსი

„შენ — უკველები ჩამონადენი, მშენიერება სომ უნით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კვირეული

შეტყუებული თემა

მე-10 გვერდიდან

ებლად ხალხს აგროვებდნენ. ძირითადად, პანკისის ხეობაში ჩამოდიოდნენ, მეჩეთიც კი ააშენეს. ჩვენ დავედივართ სოფელ-სოფელ და ხალხს ვხვდებოდა, ვუსხნი, რომ „ისლამური ხალიფატს“ ისლამთან არაფერი აქვს საერთო. მადლობა ღმერთს, გვისმენენ, ასე ვცდილობთ დავიცვათ ჩვენი მორწმუნეები არასასურველი იდეებიდან. ორი წელია, ქართული სახელმწიფო მუსლიმანებისთვის კარგ საქმეებს აკეთებს — აჭარაში მდებარე ციხეების განხორციელება, არემონტებენ მეჩეთებს. განა, ცოტაა საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის 300 მეჩეთი? რაც შეუძლია, გვემხარება რელიგიითა სახელმწიფო სააგენტო. ჩვენს გარდა, სხვებიც არიან, მათაც დახმარება სჭირდებათ. ბოლო სამი თვის განმავლობაში სამჯერ ვიყავი პანკისში, ვესაუბრე ხალხს, მოვუწოდე, სხვებს არ მოუსმინოს. შევახსენე, რომ საქართველოს მთავრობა მუსლიმანებისთვის შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს. განა, დიდი პატივი არაა საქართველოს მუსლიმანებისთვის, რომ პრემიერ-მინისტრი ბაირამოვის დღესასწაულს პირადად გვილოცავს?! ისლამის მიხედვით, უმადურობა დიდი ცოდვაა. დმანისში დავიბადე და გავიზარდე, 17 წელია, მეჩეთს ვემსახურები, ქართველი ხალხის პატივისცემას როგორ დავივიწყებ, უნდა იცხოვროს საქართველოში და ამ სიყვარულს გაიყვებ.

— „ისლამური ხალიფატში“ მრავალად არიან ქალები, რომლებიც მამაკაცების გვერდით იბრძვიან.

— ვიდრე ეს ქალები ადგილამდე ჩავლენ, ეუბნებიან, რომ ქაფურების წინააღმდეგ ბრძოლაში მათ თავიანთი მისია აქვთ — მეომრებს მოუარონ, საქმელი მოუმზადონ, რომ მათ თავისუფლად იბრძოლონ. ბევრ ქალს ფული სჭირდება და მიდის ამ საქმეზე. „ისლამისტებთან“ თავს უამრავი ქვეყნის ფული იყრის. სადაც ბევრი ფულია, ხალხიც იქ ეტანება

— არსებობს მოსაზრება, რომ მიხილს სააკაშვილი გაჰაბიტებს ახალისებდა და „ნაციონალები“ მათ ლობირებდნენ.

— პანკისში ნარკომოვაჭრები ბატონობდნენ. სააკაშვილამდე რამდენიმეჯერ ვიყავი ჩასულნი, დიდი გაჭირვებით ჩავიდა და უკან დიდი გაჭირვებით გამოვიცილეთ. სააკაშვილმა გაჰაბიტებისგან პანკისი გაასუფთავა.

— გასულ წელს, ერთ მშენიერ დღეს, წაღვიდან მუსლიმანთა წინამძღვარი იბამი გაქრა. ოჯახმა განაცხადა, რომ იგი თურქეთში სამუშაოდ წავიდა. აღმოჩნდა, რომ „ისლამური ხალიფატს“ შეუერთდა...

— ვიცი ამ შემთხვევის შესახებ. ახლა ვიკითხოთ, მან რა განათლება მიიღო? რამდენად იცნობდა ისლამს? 50 წელს გადაცილებული კაცი იყო, იბრალით ხელში ვერ იბრძოდნენ, თუმცა ეს პასუხისმგებლობას არ უხსნის, მაგრამ რაღაცით მოიხიბლა, რახან ეს ნაბიჯი გადადგა. ზოგადად, როცა ხალხის აბუნტება უნდათ, თავისუფლებას პირდებიან, სამართლიანობას, ახალი სახელმწიფოს აშენებას. განა, საქართველოში ისლამის მიმდევარს თავისუფლება არ აქვს?

— ბატონო იასინ, რა არის ჯიჰადი? — ჯიჰადი „ბრძოლა“ ნიშნავს. ჭეშმარიტმა მუსლიმანმა საკუთარ თავთან ბრძოლა უნდა დაიწყოს. მაგალითად, როცა სპირტიანი სასმელებისკენ მიდრეკილება აქვს, უნდა გააცნობიეროს, რომ ეს დიდი ცოდვაა და საკუთარ თავს შეებრძოლოს. როცა აღარ სვამს, ეს ნიშნავს, რომ ჯიჰადი ჩაიდინა და სმას გადაეჩვია, ანუ ნებისყოფა გამოიჩინა. „ჯიჰადი“ იმას არ ნიშნავს, რომ ვილაცამ ვილაც უნდა მოკლას. არამედ, სატანას ვებრძოლოთ, ცოდვა განვედევნო ჩვენგან.

**„ჯიჰადი“ „ბრძოლა“ ნიშნავს. მთავარია მუსლიმანმა საკუთარ თავთან ბრძოლა უნდა დაიწყო. აბაალითადა, როცა სპირტიანი სასმელებისკენ მიდრეკილება აქვს, უნდა გააცნობიეროს, რომ ეს დიდი ცოდვაა და საკუთარ თავს შეებრძოლოს. როცა აღარ სვამს, ეს ნიშნავს, რომ ჯიჰადი ჩაიდინა და სმას გადაეჩვია, ანუ ნებისყოფა გამოიჩინა. „ჯიჰადი“ იმას არ ნიშნავს, რომ ვილაცამ ვილაც უნდა მოკლას. არამედ, სატანას ვებრძოლოთ, ცოდვა განვედევნო ჩვენგან.**

საიდუმლო მასალები

რუმინული დაზვერვის მალაჩინოსანი, ოფიცერი იონ მისი პაჩემა საბჭოთა პერიოდში დასავლეთში გაიქცა, სადაც წიგნი — „დეზინფორმაცია“ გამოსცა. წიგნში წერია, რომ ისლამური ტერორიზმის ფესვები 1970-იან წლებში, საბჭოთა სუკ-ის მიერ მომზადებულ საიდუმლო ოპერაციებში უნდა ვეძებოთ.

„კა-ბე-ბე“-სა და ისლამისტი ტერორისტების საიდუმლო კავშირები

რუმინული დაზვერვის ოფიცის სპანდელური აღიარება

პაჩემას ცნობით, იური ანდროპოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, ანუ „კა-ბე-ბე“-ს 15 წელი ხელმძღვანელობდა, ასობით აგენტსა და პროპაგანდისტულ ლიტერატურისათვის დასავლეთში ასლს აგზავნიდა მუსლიმანური ქვეყნებში, რათა აშშ-სა და ისრაელისთვის ზიანი მიეყენებინა.

„1972 წლისთვის ანდროპოვის დეზინფორმაციის მანქანა 24 საათი მუშაობდა და მუსლიმანურ ქვეყნებს არწმუნებდა, რომ ისრაელი და ამერიკის შეერთებულ შტატებს მთელი სამყაროს სიონიზმის სამფლობელოდ გადაქცევა ჰქონდათ გადანიშნული.“

ანდროპოვისთვის ისლამური სამყარო იყო პეტრის ფიალა, სადაც სუკ-ს მარქსიზმი-ლენინიზმის ბაქტერიიდან გამოჰყავდა სიძულვილის ვირუსის შტამი აშშ-ის წინააღმდეგ.


ექვსდღიანი ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, ანდროპოვი საბჭოთა სუკ-ის ხელმძღვანელად დანიშნეს. ცნობილია, რომ ამ ომში სსრკ-მ, სირიამ და ეგვიპტემ დამამცირებელი დამარცხება იწვეს. მაშინ ნიხილი ბანაკის მომავალმა გენერალურმა მდივანმა, ანდროპოვმა, გადანიშნა შური ეტია — სწორედ მაშინ მოხდა საბჭოთა სუკ-ის მიერ მომზადებული პალესტინელი ტერორისტების თავდასხმა ისრაელის კომპანია El Al-ის სამგზავრო თვითმფრინავებზე.

გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ ანდროპოვმა პირველმა გასცა ბრძანება, არაბულენაზე ეთარგმნათ „სიონის ბრძენთა ოქმები“ — რუსეთის საიდუმლო პოლიციის (ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოდან მოქმედებდა პარიზში) მიერ შეთხზული პროპაგანდისტული სიყალბე“, — ნათქვამია წიგნში.

1978 წელს, პაჩემა აშშ-ში გაიქცა, სადაც მოქალაქეთა და პოლიციური თავმჯდომარე მიიღო. მანამდე კი, ის რუმინეთის საგარეო დაზვერვის სამსახურს (DIE) ხელმძღვანელობდა და ანდროპოვის პროექტებში აქტიურად მონაწილეობდა.

პაჩემას სიტყვებით, „სიონის ბრძენთა ოქმები“ საფუძვლად დაედო ჰიტლერის ანტი-სემიტურ პროპაგანდას. 1970-იან წლებში, საბჭოთა სუკ-მა მუსლიმანურ ქვეყნებში გაავრცელა ამ სიყალბის ათასობით ეგზემპლარი.

როგორც მხვერავი იხსენებს, 1972 წელს, რუმინეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა (DIE) სუკ-სგან მიიღო ოქმების თარგმანი და კიდევ რაღაც დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია „თამერ.გე“-ს მიხედვით



ესაუბრა ნათია პოპიტიძე



„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაც“

კარნეგის ლეონიძე

## სანიწორმაციო მხარდაჭერა

1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანაბრკლივობა მისამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1200 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მეოთხე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მესამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტიკის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

2) მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამატურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანაბრკლივობა მეოთხე საფეხურზე 60 კრედიტი (ორი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მესამე საფეხურზე – 120 კრედიტი (ოთხი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი (წლიური).

კურსდამთავრებულს ენიჭება მცირე ბიზნესის მწარმოებლის შესაბამისად მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.


საბუთები მიიღება 1 აპრილამდე 25 სექტემბრამდე.  
სწავლა დაიწყება 28 სექტემბერს.

საბუთების ნუსხა: სკოლის ატესტატი, ვაჭებისათვის სამხედრო აღრიცხვის ბარათი,

2 ფოტო სურათი (3X4), დაბადების მოწმობა, განცხადება.

სურვილის შემთხვევაში გადახდის გრაფიკი შედგება ინდივიდუალურად სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. 55  
ტელ.: 2960104  
tbuniver.edu@gmail.com



„თბილისის  
სასწავლო  
უნივერსიტეტი“  
აცხადებს  
სტუდენტთა  
მიღებას  
პროფესიული  
პროგრამების  
ფაკულტეტზე:





მინ გვარცხვენს და ვინ გვახარებს

# მუცელლორობა 118 თეთრად, ანუ საუკუნის გუგულიზები

„გლეხი ციციტინ არაგინ არ არის“ – ქართველი გლეხის ეს ნათქვამი ჭეშმარიტ ფოლკლორად იქცა და ჩვენამდე ტაქსისტებმა მოიტანეს. დიახ, ბოლო დროს სწორედ მათგან გაიგონებთ ამ გამოთქმას სწორად, მაგრამ ეს ახლა სულაც არაა არსებითი, ვისგან ისმენ ამ ჭეშმარიტებას და, მგონი, აღარც ისაა უკვე არსებითი, რომ მართლაც, არც ერთი ნელისუფლება არაა უბრალო, გაჭირვებული მოქალაქისთვის. დიახ, უბრალოსთვის, რომელსაც ბრალო არ მიუძღვის ამ ქვეყნის დაქვეყნაში. არ მიუძღვის და რატომღაც სწორედ მას შია და სწყურია. ადრე, როდესაც ამბობდი – „შია და სწყურია“ – იგულისხმებოდა, რომ კვებისთვის საჭირო სახსრები არ გააჩნდა ადამიანს და ამ ფრაზაში „სწყურია“ ფიგურალური ნიაღვრება იყო. ახლა კი? – ახლა უკვე პირდაპირი მნიშვნელობა შეიძინა: თუ წყალი არ მოიპარაგე, სამზარეულოში თუ ბოთლების გვარდია არ ჩაამწკრივე, დიახაც, რომ მოგწყურდება, ისე წამდაუნ უმ წყდება წყალი – ბათქა-ბუთქთი სკდება წყალსადენი მილები და ქრონიკულად აღდგენითი სამუშაოება.

აღარც – ხელფასები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაც იყო, ან ის იყო საკმარისი, რომ ადამიანს ნორმალურად ეცხოვრა და არც იმას ნიშნავს, რომ ვინღმ თავს იკლავდა მოსახლეობაზე დარდით, მაგრამ ერთი თვალები დახუჭეთ და წარმოიდგინეთ, რასაც გუგული მალრადი, ან რომელიმე სხვა პერმანენტულად გაიძახის, მსგავსი რამ მაია ნადირაძეს რომ ეთქვა, რა ისტერიის ქარიშხალს დაატრიალებდნენ ისინი, ვინც დღეს ხელისუფლებაში არიან? დიახ, დიახ, მაია ნადირაძე, დღეს რომ აღარც ის ასფალტია შესაქმელი და გუგულის სალათის ფურცლების კვენტის ამარა ვართ დარჩენილები? არ ვიცი, შეიძლება დავყრუდები და ჩემამდე ვერ აღწევს იმ ასრალაცა ქარხნის გუგული, ან ისე თავისუფლად ვსუნთქავ, რომ ველარც მათ გამოუნაბოლქვს შეაქვს დისონანსი ჩემს ფილტვეში...  
გაუფასურებულია ღარი, პრაქტიკულად, გაორმაგებულია ფასები მედიკამენტებზე, გაორმაგებულია ფასები პროდუქტებზე,

ახლა არსებითი სწორედ ისაა, როგორ იქცევიან ბრალოანი მოქალაქეები, ვისაც ხელთ უპყრიათ, ან ეპყროთ ქვეყნის მართვის სადავეები. გამოდინ და ცინიკურად დაგვიჩვენა. დაცინვას ვინ ჩივის, დაცინვა მომაკვდინებელი არაა, მასხრად გვიგდებენ. ასე, მაგალითად, თურმე, ნუ იტყვიოთ და, დღეში ღარი და 18 თეთრი საკმარისი ყოფილა, რომ იკვებო, თანაც კალორიულად. ამის მოსმენის შემდეგ რომ გაცოფდები და დრაკონივით ცეცხლის ყრას დაიწყებ, გამოხტება ვილაქ ასოკირკიტა და პიედესტალიდან აგისხნის, რომ ეს უმწეობაა ითქვა და არა – საზოგადოდ. იმ, მეტელევე, რომ მიაჭინებ, გურიის მთებიც შენი იყოს და აღარ გეტყვი, კიდე რომელი, მოიცა, გააჩრე, გააჩრე!



იმ უმწეოს მუცელი არ აქვს? რაში უნდა ეყოს ღარი და 18 თეთრი? როდესაც 60 თეთრი, მინიმუმ, პურის შესაძენად სჭირდება, იმ დარჩენილი 58 თეთრი რა იყიდოს, 2 ცალი კარტოფილი? ერთი შენ გესროლოს ვინც აგირჩია და მოგიყვანა მთავრობაში და მეორე თავში ითხლიშოს, შენ რომ აგირჩია?!  
ცოტა დავწყინადეთ. ავიღოთ სამზარეულოში ჩამწკრივებული ბოთლებიდან ერთი რომელიმე, დავისხათ და დავლიოთ. მერე რა, რომ არც ესაა მუქთა... მაგრამ, გაცინვის ვინმე დაწყინარებას? გამოიჭრება ქალბატონი გუგული, რომელიც ასე მგონია, სპიკერადაა დანიშნული მოსახლეობის მასხრად აგდების დარგში და გეტყვის, დაგარიგებს „დედაშვილურად“, თუ დეიტაზე იქნება და მარტო 10-თეთრიანი სალათის ფოთლებს ჭამ მთელი დღე, ღარი და 18 თეთრი მაშინ გეყოფა მთელი დღე. გუგულა ძალო, მთელი დღე მარტო სალათის ფოთლებს ჭამა? უკაცრავად, თქვენ მოსახლეობამ აგირჩიათ თუ კურდღლებს მეურნეობამ? ან სად რომელ ბაზარში, ან სუპერ-მარკეტში ნახეთ სალათის ფოთლები 10 თეთრად? იქნებ, მიგვანაწავლოთ, სად ყიდულობთ 10 თეთრად სალათის ფოთლებს, რომელიც კონა 50 თეთრი ღირს ყველგან და 10 თეთრიც რომ ღირდეს, თუ მთელი დღე ეგ სალათის ფოთლი უნდა აცმაცუნოს ადამიანმა, რამდენი კონა დასჭირდება თქვენი გათვლით? გვეჩვენებთ, სად ყიდულობთ? თუ იმ წარმანიახებულ საფლაგებს დამსგავსებულ გაზონებში კრეფთ?

ორ უნდა იკმაროს ადამიანმა? თუ დააგროვოს და ეს შენ სუბი თვეში ერთხელ ხვრიპოს?  
გუგული არ გვეშვება, გვატრიალებს და გემოდღვრავს: „სჯობს სტაფილო, კარტოფილი, კომბოსტო და ა.შ. ამას უნდა კარგი, ჭკვიანი დიასახლისი, რომელმაც იცის როდის გავიდეს ბაზარში, ესაა მთელი ხელოვნება...“  
სხვა რა დარჩენიათ ქართველ დიასახლისებს? – ყველამ ერთხმად უნდა თქვას კობორას ცნობილი მონოლოგი: „მე ვარ დებილი!“  
„ვარდების რევოლუციამდე“ ერთადერთხელ ითქვა ანალოგიური შინაარსის გაცილებით კორექტული ფრაზა და დაიქცა ქვეყანა, ნლობით აღარ დამთავრდა იმაზე საუბარი, ქვეყანამ ტანზე შემოიხია, რასა შექცაო და ახლა რა ხდება? ახლა ყოველდღიურ რეჟიმში ვისმენ უარეს განცხადებებს. მაშინდელი ხელისუფლების ადვოკატობას არ ვაპირებ და რომც დავაპირო, ვერ გამოვდებო, მაგრამ ის ხელისუფლება ხალხს ციფრებით დასცინოდა – 8 ღარიანი თუ 14 ღარიანი პენსით, სასაცილო ხელფასებით, მაგრამ ამ დაცინვას სჯერდება და ცეცხლზე ნავთს არ ასხამდა. მომდევნო ხელისუფლების პირობებში ციფრებით დაცინვა შეწყდა, რაც უნდა თქვა, აღარც პენსიები იყო ადრინდელივით დასაცინი და

ეს რომ ეთქვა, სერიოზული, მცოდნე ადამიანი 2 ათას ლარად არ იმუშავებსო, რა ამბავი ატყდებოდა?!  
ესე იგი, ყველა, ვინც 2 ათასად, ან 2 ათასზე ნაკლებად ვმუშაობთ, არც მცოდნეები ვართ და არც სერიოზულები. ვართ ჭკუასუსტები და უვიცები. რა უნდა თქვას მოსახლეობამ? ისევე კობორას უნდა დაესესხოს: „მე ვარ დებილი“ და იქვე მიამატოს, შენ რომ მან დაგვცი, ამ ქვეყნის კოფოზე.  
მოსახლეობა დღეს, აი, ამ წამს ცხოვრობს ამ ქვეყანაში და როცა ცხოვრობს, მაშინ უნდა საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრა. დღეს რომ მშია, ან წამალი მაქვს საყიდელი, თავს იმით ვერ დავიმშვიდებ, ასფალტები რომ იგება, ინფრასტრუქტურა რომ წესრიგდება, ქალაქები რომ შენდება და მაზეგ რომ ეს ყველაფერი მე შემეხება. არ მალევეცხვს, რა იქნება მაზეგ არა იმიტომ, რომ ქვეყანა მკიდია ნიხლზე, არამედ, იმიტომ, რომ მე დღეს შეიძლება, სული გამძვრეს და მომიტევეთ, თუ არ მყოფნის სულგრძელობა, რომ იმ ზეგინდელზე ვიფიქრო, სადაც აღარც მე ვიქნები და აღარც – ჩემი შიმშილით ამოწყვეტილი შვილიშვილები. მაპატიეთ, რომ საკადრისად ვერ ვზრუნავ იმაზეც, რომ დღესაც მაძლარი თქვენი შვილიშვილები მაზეგ უფრო მაძლრისად იყვნენ! ეს გასაგებია და ახსნადია, მაგრამ დღეს რომ არც იმ მაზეგისთვის კეთდება რამე?

ზე, ფასები იმატებს სიგარეტზე, მაგრამ მხსნელი ისევე გუგულა ძალოა, გამოვიდა და ჭკუა დაგვარიგა, ძალიანაც კარგია, რომ სიგარეტი გაძვირდება და ვერ იყიდით. მოსწავა მაგნებელიაო. კარგი, რა, გუგულა ძალო, არ ვიცოდით... თურმე, ნუ იტყვიოთ, ეს გაძვირება რატომღა ასეთი არსებითი გუგული მალრადისთვის? – გვერდით თოხაში „ნატები“ ინტენსიურად ეწევიან. გუგულა ძალო, ერთი შენებურად შეუვარდი და იმით უთხარი, მე რას მიძვირებ პაპიროზსა?  
თუ თქვენ იმდენი დაიმსახურეთ, რომელი მანქანითაც გინდათ, იმით იაროთ და ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, იმათ, ვინც მანდ მიეგყვანათ და დაგვათ, არჩევანი უნდა აკეთონ – სიგარეტი მოწიონ და ფეხით იარონ, თუ „მარშრუტკაში“ ავიდნენ და უსიგარეტოდ დარჩნენ?  
მონევა მარგებელი არააო და ძალიან კარგი, თუ ვერ იყიდითო. რაც მარგებელია, იმას ვყიდულობთ? თუ ასფალტი ვჭამოთ? თვითნებურად გადავთხაროთ და ისე?

არც ბრმა ვარ, ვხედავ რა დღეშიცაა გზები და ბრმა ვარ ვიყო, ყოველდღიურად ვმგზავრობ „მარშრუტკით“ და ტანიც – ჯაყყაყზე ვგრძნობ, რაც ხდება გზებზე. „ა“ პუნქტიდან მანონი რომ წაილო, „ბე“ პუნქტში დოს და კარაქს მიიტან. ძალიან „ლეიბორისტული“ ბლოგი კი გამომდის, მაგრამ ყველაფერი ეს მაშინ ხდება, როდესაც ჩინოვნიკების შენახვის ხარჯი, 3 წლის წინანდელთან შედარებით 456 მილიონი ლარითაა გაზრდილი! და თან აქ, ამ გრანდიოზულ თანხაში არც მანქანების შექენა შედის, არც – ფუფუნება-კომფორტის მოწყობა, დიახ, ეს მათი შენახვის ხარჯებია, გაზრდილი ბიუროკრატის, გაბერილი შტატების, გაბერილი ხელფასების, დანამატებისა და ლეგენდარული პრემიების. მოკლედ, ჩვენ წლების განმავლობაში, ხელისუფლებებს კი არ ვირჩევთ, არამედ, მათ, ვინ გავასუქეთ. ალბათ, ამიტომდაა მერე ხან გადატრიალებები, ხან – რევოლუციები. რა გამოგვდის, საკალანდედ ვასუქებთ და მერე „ვკლავთ“? მაინც რომ მშვირეზი ვრჩებით?

და მეორე, გამარჯობა შენი, 20 ლარი რომ ყოფილა საჭირო, 1 და 18 თეთრი როგ-

**„გამოიჭრება ქალბატონი გუგული, რომელიც ასე მგონია, სპიკერადაა დანიშნული მოსახლეობის მასხრად აგდების დარგში და გეტყვის, დაგარიგებს „დედაშვილურად“, თუ დეიტაზე იქნები და მარტო 10-თეთრიანი სალათის ფოთლებს ჭამ მთელი დღე, ღარი და 18 თეთრი მაშინ გეყოფა მთელი დღე. გუგულა ძალო, მთელი დღე მარტო სალათის ფოთლებს ჭამა? უკაცრავად, თქვენ მოსახლეობამ აგირჩიათ თუ კურდღლებს მეურნეობამ? ან სად რომელ ბაზარში, ან სუპერ-მარკეტში ნახეთ სალათის ფოთლები 10 თეთრად? იქნებ, მიგვანაწავლოთ, სად ყიდულობთ 10 თეთრად სალათის ფოთლებს, რომელიც კონა 50 თეთრი ღირს ყველგან და 10 თეთრიც რომ ღირდეს, თუ მთელი დღე ეგ სალათის ფოთლი უნდა აცმაცუნოს ადამიანმა, რამდენი კონა დასჭირდება თქვენი გათვლით? გვეჩვენებთ, სად ყიდულობთ? თუ იმ წარმანიახებულ საფლაგებს დამსგავსებულ გაზონებში კრეფთ?“**

რაზო შატბაიშვილი



საქართველოს  
საქართველო. ქობულთა

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“

კობულთა

ჯანმრთელობის ანა-ბანა



ეს გვერდი თქვენი ჯანმრთელობის, თქვენი დღეგრძელობის, თქვენი გარეგნული მომხიბვლელობისა და ხალისიანი ცხოვრების ხელშეწყობისთვისაა. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი ყველა იმ შეკითხვას, რაც ადამიანს საკუთარი თავის მოვლისთვის სჭირდება ყოველდღე და ყოველ საათს. ვეცდებით, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დაყრდნობით, პოპულარულად გადმოგცეთ სპეციალისტთა რჩევა-დარიგებები ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან მის აღსადგენად და ისეთი ხერხები შემოგთავაზოთ საამისოდ, რაც იოლად, იაფად და სახალისოდაც კი მასალაწევია. თითოეული თქვენგანი აუცილებლად ნახავს მისთვის საინტერესო მასალებს ჩვენს რუბრიკებში: „მამაკაცის ჯანმრთელობა“, „ქალის ჯანმრთელობა“, „ბავშვის ჯანმრთელობა“, „დედგრძელობის საიდუმლო“, „კოსმეტიკა“, „დაავადებათა ანატომია“, „ხალხური მედიცინა“, „ჯანსაღი კვება“, „ჯანსაღი ცხოვრება“, „კულინარია“, „საყოველღეო რჩევები“ და ა.შ. დაველოდებით თქვენს შენიშვნებს, სურვილებს, გამოხმაურებებს სხვადასხვა საკითხებზე. გამადლობთ, რომ ჩვენი მეგობარი გახდებით.

სახიზათო შეუთავსებლობა – კვება და ნაგავი

ავადმყოფობის დროს წამლებსაც ვიღებთ და საჭმელსაც მივირთმევთ, მაგრამ იშვიათად მოუვა ვინმეს აზრად, რომ ექიმის დანიშნულებას თავისი მენიუ შეუთავსოს. არადა, წამალთან საკვების შეუთავსებლობამ მედიკამენტი შეიძლება, გაანეიტრალოს და სრულიად უმოქმედო გახადოს. ანდა, პირიქით, გონივრულმა კვებამ შეიძლება წამლის ეფექტი გააძლიეროს და გამოჯანმრთელება დააჩქაროს. ისე, ყველა სამკურნალო პრეპარატის მიღების წესებში ნათქვამია, თუ როგორ უნდა შეუხამოს ადამიანი კვება. ყურადღება მისაქცევია მრავალი გარემოება.

- ჭამის დროს იმ წამლებს იღებენ, რომლებიც საჭმლის მონელებას აუმჯობესებს.
- ჭამის შემდეგ იღებენ: სიცხის დამწვე, შარდმდენ, თავის ტკივილის პრეპარატებს,

გაციების, ანთებისაწინააღმდეგო, ანტიბაქტერიულ საშუალებებს, საგულე გლიკოზიდებს, პრობიოტიკებს, მეტრონიდაზოლს.

- ჭამამდე ერთი საათით ადრე, ან უზმომდე იღებენ: მცენარეულ ნაყენებს და ნახარშებს, პენიცილინს, ერიტრომიცინს, ნისტატინს.
- ჭამამდე 30 წუთით ადრე იღებენ: ნეფლესანინააღმდეგო, დიარეის საწინააღმდეგო, კალციუმის (კალციქსი, ნიკომედი) პრეპარატებს, ანტიციტებს, ტეტრაციკლინს და ანალგინს.
- ძილის წინ 30 წუთით ადრე იღებენ სინთეტურ და მცენარეულ კუჭში გამხსნელ საშუალებებს (მაგ. ბუასილის დროს).

აბების მიღება არ შეიძლება ყავით, ჩაით, გაზიანი წყლით, შაქრის მალაღი შემცველი წვენებით, ალკოჰოლური სასმელებ-

ით. როცა წამალი ხანმოკლე ვადით ინიშნება, მისი მიღების წესების დარღვევა იშვიათად იწვევს სერიოზულ პრობლემებს. საკვებთან სამკურნალო ნივთიერებების ურთიერთქმედების გვერდითი ეფექტების აღბათობა უფრო მაღალია, როცა წამალი ხანგრძლივი დროით ინიშნება.

ანტიბიოტიკები

ტეტრაციკლინის, ბიომიცინისა და ა.შ. მიღებისას გამოირიცხეთ მენიუდან რძე და რძის პროდუქტები – ისინი ანტიბიოტიკების მოქმედებას ანეიტრალავენ. ასევე, გამოირიცხეთ ალკოჰოლი. ჭამეთ ბევრი ხილი, ბოსტნეული, მწვანილი. შეზღუდეთ მჟავა – ხილი, წვენი, გაზიანი სასმელები, მშრალი ღვინო და ძმრით შენელებული ნებისმიერი კერძი.

ანტიდეპრესანტები

ეს პრეპარატები შეიცავს ინჰიბიტორ მონოამინოქსიდაზებს. ამიტომ, მათ მიღებისას კარგია თავშეკავება გამოყვანილ ყველზე, ობიან ყველზე, სოიოს სოუსზე, კომბოსტოს მწილზე, ქათმისა და ძროხის ღვიძლზე, გამოყვანილ ხორცსა და თევზზე, იოგურტზე, ქიშმიშზე, ლელვასა და არაჟანზე. ეს პროდუქტები შეიცავენ ტირამინს, რომელიც ინჰიბიტორ მონოამინოქსიდაზებთან არტერიული წნევის მკვეთრი აწევა გამოიწვიოს.

ანტიდეპრესანტების მიღების დროს სრულად გამოირიცხეთ ალკოჰოლი, განსაკუთრებით წითელი ღვინო.

ანტიკოაგულანტები

სისხლის გამათხელებელი პრეპარატები შეუთავსებელია შტოშთან, მის წვენთან, მორსთან, მწვანილთან. ასეთმა შეუთავსებლობამ შეიძლება შინაგანი სისხლდენები გამოიწვიოს.

ასპირინი

ჭამეთ ცილებით, ცხიმებით და ნახშირწყლებით ღარიბი პროდუქტები, თორემ წამლის მოქმედება ორჯერ შემცირდება. გამოირიცხეთ ციტრუსების წვენი – ასპირინთან ერთად კუჭის ლორწოვანი გარსის ძლიერ გაღიზიანებას იწვევს.

არ დალიოთ ასპირინი რძესთან (გავრცელებულია აზრი, თითქოს ასე დაცულია კუჭის ლორწოვანი გარსი) – ეს სასმელი მთლიანად აქარწყლებს წამლის მოქმედებას.

ტკივილგამაყუჩებლები

ამიდოპირინი, იბუპროფენი და ა.შ. გამოირიცხეთ შებოლილი პროდუქტი, ისინი პრაქტიკულად ანეიტრალავენ ამ წამლების მოქმედებას.

პორმონალური პრეპარატები

ზეგავლენას ახდენენ ნივთიერებათა ცვლაზე, ამიტომ გართულებების თავიდან ასაცილებლად მიირთვით ხაჭო და რძის სხვა პროდუქტები, თევზი, ჭერმის ჩირი, გოგრა, კენკრა, ანუ ცილებით, კალიუმის მარილებითა და ვიტამინებით მდიდარი პროდუქტები.

რკინის შემცველი პრეპარატები

უკეთესია, თუ თავს შეიკავებთ ჩაის, ყავის, ნიგვზის, ცომეულისა და ტკბილეულის, ასევე, რძის პროდუქტებზე, თორემ რკინა ცუდად აითვისება.

კლოფელინი

წნევის დამწვევი პრეპარატი. კატეგორიულად იკრძალება ალკოჰოლური სასმელები. ალკოჰოლი ანეიტრალავენ პრეპარატის მოქმედებას, რამაც შეიძლება წნევის უეცარი აწევა გამოიწვიოს.

ყურადღება! კლოფელინი და ალკოჰოლი ერთად შეიძლება გონების დაკარგვა გამოიწვიოს.

შარდმდენი პრეპარატები

ორგანიზმიდან გამოაქვს კალიუმს; მისი მარაგის შესავსებლად რაციონში შეიტანეთ მწვანე ბარდა, ისპანახი, მჟაუნა, ჭარხალი, ჭერმის ჩირი, კარტოფილი, ხახვი, სტაფილო და ვაშლი.

ანტირევმატიული საშუალებები

აგრესიულად მოქმედებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანზე. შეეცადეთ მკაცრი დიეტა დაიცვათ: არ ჭამოთ უმი ხილი და ბოსტნეული, სოკო, შემწვარი, ხორცისა და თევზის ბულიონები.

სტატინები





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარნეგის

საქართველო  
საქართველო. ქოლესტეროლი

## საინფორმაციო მხარდაჭერა

სისხლში ქოლესტერინის დონის დამწვევ პრეპარატებთან არ შეიძლება გრეიფრუტის, ციტრუსების ჰიბრიდული ჯიშების მიღება. ეს პროდუქტები შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც სტატინების დამწველ ლვიძლის ფერმენტებს ბლოკავს. ამის გამო, სტატინების კონცენტრაციამ ორგანიზმში შეიძლება მკვეთრად გაადიდოს ლვიძლი და გამოიწვიოს მისი ფუნქციის მოშლა, ასევე კუნთების დაშლა.

**სულფანილამიდები**  
ანტიბაქტერიული და მიკრობსანაინა-ლმდეგო პრეპარატები. ეცადეთ მენიუდან გამორიცხოთ ლვიძლი, თირკმლები, მწვანელი და შტოში, ცხიმოვანი საკვები, შაქარი და სხვა ტკბილეული. სვით ბევრი სითხე, განსაკუთრებით ტუტე მინერალური წყალი. საქმე ისაა, რომ ამ სახის პრეპარატების მიღებისას მცირდება შარდვა, რამაც შესაძლოა საშარდე გზებისა და თირკმლების სადინარების დაცობა გამოიწვიოს უხსნადი კრისტალებით. ამიტომ საჭიროა ორგანიზმის უზრუნველყოფა წყლის მნიშვნელოვნად დიდი რაოდენობით, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება. შაქრები და ცხიმები აქვეითებენ სულფანილამიდური პრეპარატების ეფექტურობას.

**რა შეიძლება?**  
ანტიბიოტიკების მიღებისას, ინფექცია-სთან ბრძოლაში წამალს მიეხმარება ახალი წვენი, ხილი, ბოსტნეული და ნიგოზი;  
A, D, E, K ვიტამინები. თამამად მიირთვი-თ ცხიმოვანი საჭმელი – ის აძლიერებს მკურნალობის პროცესს.

**სიმსივნის სანაღმდეგო პრეპარატები**  
ის პროდუქტები მიირთვით, რომლებიც ხელს უწყობს სისხლწარმოქმნას. ესენია: ლვიძლი, თევზი, სტაფილო, კამა, ბრონეული, შავი მოცხარი, მარწყვი, თაფლი, წითელი ლვინი.

**კუჭში გამსხნელი პრეპარატები**  
ყველაზე კარგია ისპანახი (შეიცავს საპონინებს, რომელიც ნაწლავების პერისტალტიკას აძლიერებს), ჭარხალი, ტკბილი ქლიავი, კიტრი, ყაბაყი.

- ჯანმრთელობის 7 სასმელი**
1. წყალი – გამოჰყავს ტოქსინები, ეხმარება კუჭს მუშაობაში, დადებითად მოქმედებს სისხლძარღვებისა და სახსრების მდგომარეობაზე.
  2. ბრონეულის წვენი – აწესრიგებს გულისა და სისხლძარღვების მუშაობას, სასარგებლოა ჰიპერტონიისა და ანემიის დროს.
  3. პიტნის ჩაი – ასტიმულირებს კუჭის წვენი გამოყოფას, ამშვიდებს, აქვეითებს წნევას, ეხმარება უძილობასთან ბრძოლას.
  4. კეფირი – აწესრიგებს საჭმლის მონელებას.
  5. ვაშლის წვენი – სასარგებლოდ მოქმედებს ლვიძლის, თირკმლის და შარდის ბუშტის მუშაობაზე.
  6. შტოშის მორსი – შესანიშნავად განამტკიცებს იმუნიტეტს, არის კარგი სიცხის დამწვევი საშუალება.
  7. გვირილის ჩაი – აქვს ანტიბაქტერიული ეფექტი, ასევე, ამშვიდებს და ადუნებს ნერვებს.

**როგორ დავიკლოთ დიეტის გარეშე**  
თურმე, ისეც შეიძლება, რომ ორგანიზმისა და საკუთარი თავის „გატანჯვის“ გარეშე მივალნოთ სანატრელ შედეგს და წონაში დავიკლოთ – სწრაფად და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუყენებლად. აბა, სცადეთ!

1. უზმოზე სვით ლიმონიანი წყალი  
ჭიქაში გააზავეთ ლიმონის წვენი და სვით უზმოზე საუზმემდე. ის პექტინს შეიცავს, რომელიც შიმშილის გრძნობას თრგუნავს.
2. იკვებეთ ხშირად  
წაიხმსეთ დიეტური „პურეული“, ცხიმგაცილილი ხაჭოთი ან ცხიმდამწველი კოქტილებით. იკვებეთ ხშირად და მცირე ულუფებით. მაშინ სისხლში დაბალი შაქრის დონე შენარჩუნდება, ანუ ინსულინის გამოყოფა მინიმალური იქნება.
3. იკვებეთ ნელა  
როდესაც სწრაფად ჭამ, ცუდად დაღეჭილ საკვებს ყლაპავ, შენი ორგანიზმი ცდი-

ლობს, რაც შეიძლება სწრაფად შთანთქოს ცხიმები. რაც უფრო კარგად დაღეჭავ, მით უფრო უკეთ შეითვისებს საკვებს ორგანიზმი, შენც სწრაფად დანაყრდები და აღარც წონაში მოიმატებ.

**4. დაივიწყე შაქარი, მსუყე ცომეული და სწრაფი კვება – ფაქტ-ფაქტები**  
ყველაფერი ეს ზედმეტი „სწრაფი“ ნახშირწყლები და ცხიმებია, რომლებიც ერთად ტრანს-ცხიმებს ქმნიან. ამას კი ცხიმების დაგროვება მოაქვს. იწყება ქოლესტერინის „დაშლაკვა“ და მისი დაღეჭვა შენი სისხლძარღვების კედლებზე, ზედმეტი დატვირთვა გულზე და წვეის პრობლემები. სამაგიეროდ უშაქრო ჩაი გაცილებით სასარგებლოა, თანაც უკეთესად შეიგრძნობ ამ სასწაულმოქმედი სასმელის გემოს და არომატს.

**5. მიატოვეთ ლუდი**  
ლუდი საყვარელი აბსოლუტურად ზედმეტი

და უსარგებლო კალორიებით, თანაც ძალიან ალკოვს მადას. მამაკაცებს ლუდი მუცლის აბდომინალურ არეში გაძლიერებულად უგროვებს ცხიმს.

**6. ხშირად და ბევრი იარეთ ფეხით**  
თუ დრო არ გყოფნის სავარჯიშოდ და ვერც ტრენაჟორებზე მიდიხარ, უბრალოდ, ფეხით იარე! ტრანსპორტი დაივიწყე და გასავლელი გზის რაღაც ნაწილი მაინც გაიარე ფეხით! თუ დრო გაქვს, გასავლელად ყველაზე გრძელი გზა აირჩიე. ნუ ისარგებლებ ლიფტით – კიბით იარე! თავიდან გაგიჭირდება, მაგრამ მერე მიეჩვევი. ასე ფეხის კუნთებსაც ავარჯიშებ და ზედმეტი კალორიებისგანაც განთავისუფლდები.


**7. მიირთვი ბევრი ცილოვანი საკვები**  
საჭმელი, რომელიც ცილებს შეიცავს, ცხიმების დაგროვების რისკს აქვეითებს და მისგან თავის დაცვაში მოგეხმარება. ამ-

იტომ შენს რაციონში ჩართე მჭლე ხორცი, ხაჭო, თევზი, კვერცხი, რძე.

**8. მიიღეთ მეტი უჯრედის**  
უჯრედის ორგანიზმიდან გამოდევნის ტოქსინებს, მძიმე მეტალების მარილებს, რადიონუკლიდებს. ავსებს ორგანიზმს ვიტამინებით, არეგულირებს ნაწლავების მიკროფლორის შემადგენლობას. გაგათავისუფლებს შიმშილის გრძნობისგან. უჯრედის შეიცავს ხილი, პარკოსნები, მწვანილი, ბურღულეული.

**9. თავს ნუ მოიშვებ**  
ეცადეთ, რაღაც შეჭამო, სანამ „საფუძვლიან“ ჭამა-სმას შეუდგები. მწვანე შიმშილი ორგანიზმს გადაძლომისკენ უბიძგებს. ამიტომ ყოველთვის გქონდეს თან კურაგა (ჭერმის ჩირი), შავი ქლიავი ან ნიგოზი. წარმატებებს გისურვებთ!

ციტინო მჭადლიშვილი





საქართველო  
საქართველო. კულტურა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვაც, ქართული სიტყვაც!“  
კორნეე ლეონიძე

### მაილი საირუსის მორიგი სკანდალური პროვოკაცია

როგორც დასავლური მედია იუწყება, მსოფლიოში ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა, მაილი საირუსმა მონაწილეობა ახალ პროვოკაციულ ფოტოსესიაში მიიღო – ფოტოგრაფმა ტერი რიჩარდსონმა მომღერალს ფოტოსურათები ტრანსგენდერულ ჟურნალ „ქენდისთვის“ გადაუღო.  
„ჩემი ვაგინა – ჩემი არჩევანია!“ – აცხადებს საირუსი, რომელმაც ფოტოკამერის წინ პოლიციელის ფორმაში გამოწყობილმა იპოზიორმა ფოტოსესიას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა.

### 60 წლის ლარისა დოლინამ საზოგადოება დაშოკა

მომღერალმა ლარისა დოლინამ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რითაც საზოგადოება დაშოკა – 60 წლის მომღერალი სურათზე საცურაო კოსტუმითაა აღბეჭდილი.  
საერთოდ, ლარისა თავიანთი ცემლებს ფოტოებით ხშირად ანებივრებს – ინტერნეტში, როგორც წესი, კონცერტებისა და ე.წ. ყოველდღიური ცხოვრების კადრებს აქვეყნებს.



### მიკი რუსკი ავადა

63 წლის პოლიგუდელი მიკი რუსკი შეუძლოდა. ყოველ შემთხვევაში, პაპარაცებმა მსახიობი, რომელმაც შარშან, სკანდალურ კრივის მატჩში ახალგაზრდა მეტოქე დაამარცხა, ლოს-ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტში ინვალიდის ეტლით შეამჩნიეს.  
„რუსკი, რომელიც დაუსტებელი და ღონეზიდილი ჩანდა, სახის დამალვას კაპიუშონით ცდილობდა“, – ირწმუნებინათ თვითმხილველები.  
სხვათა შორის, ამას წინათ, მსახიობმა აღიარა, რომ თვითმკვლელობას აპირებდა და ეს აზრი თავისმა ძალმა გადააფიქრებინა.

### არაბ პოეტს სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა

საუდის არაბეთის სასამართლომ, ისლამის უარყოფის გამო, პალესტინური წარმოშობის პოეტსა და მხატვარ აშრაფა ფაიადს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.  
ფაიდი საუდის არაბეთის რელიგიურმა პოლიციამ 2013 წელს, ქალაქ აბხაში დააკავა და სასამართლომ თავდაპირველად ოთხწლიანი პატიმრობა და 800 როზგი მიუსაჯა. აპელაციის შემდეგ კი, ახალმა მოსამართლემ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.  
განაჩენი მოწმის ჩვენებაზეა აგებული, რომლის თანახმადაც, ფაიდი ლმერთს გამობდა, მუშაბედს შეურაცყოფდა და საუდის არაბეთს ლანძღავდა.  
მოწმის თქმითვე, პოეტის ლექსებში ათეისტური იდეებია თავმოყრილი, თუმცა ფაიდი წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს და თავს სრულფასოვან მუსლიმად მიიჩნევს.

## არა-ჩვეულებრივი გვირდი





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაც“

კარენი ლენინი

საქართველო

## არა-ჩვეულებრივი გვერდი



### პლანეტის ყველაზე მსუქანი დიაცი თხოვდება

33 წლის სიუზენ ემანი პლანეტაზე ყველაზე მსუქანი დიაცია. ის 343 კილოგრამს იწონის. „ვოცნებობ, მსოფლიოში ყველა დროის ყველაზე მსუქან ქალად მაღიარონ“, – აცხადებს სიუზენი.

ოცნების ახდენაში ქალს საჭმრო, პარკერ კლარკი ეხმარება, რომელიც შეფ-მზარეულად მუშაობს. წყვილმა ერთმანეთი შარშან, ინტერნეტით გაიცნო და ვენებიანი მიმოწერის შემდეგ, დაქორწინება გადაწყვიტა. პარკერი რამდენიმე თვეა, სიუზენსა და მის შვილებთან – 17 წლის გებრიელსა და 13 წლის ბრენდონთან ერთად ცხოვრობს, რომელთაც ნორმალური წონა აქვთ.

„ჩვენი კავშირი შეიძლება, იდეალურ კავშირად ჩაითვალოს. მე ჭამა მიყვარს, პარკერს კი, – საჭმლის მომზადება. ისე, ძველებურად ვოცნებობ, რომ დედამინაზე ყველაზე მსუქანი ქალი გავხდე და პაკერი ამასში ძალიან მეხმარება. მას დიდი ქალები მოსწონს“, – სიამაყით აცხადებს სიუზენი. სხვათა შორის, სახლის საქმეებს კლარკი აკეთებს. თავისუფალ დროს კი, საცოლესთან ერთად სეირნობს და აბაზანის მიღებაშიც ეხმარება.

### ანჯელინა ჯოლის ეპიფანია ბაქრდის გადიდებაზე უარი უთხრა

პოლივუდელ ანჯელინა ჯოლის, რომელსაც მკერდის კორექცია სურდა, ქირურგებმა პლასტიკურ ოპერაციაზე უარი განუცხადეს. მსახიობს მკერდის იმპლანტატების მოშორება და სარჯვე ვირკვლების ალტერნატიული მეთოდით, ანუ საკუთარი ორგანიზმის ცხიმით გადიდება სურდა, თუმცა

ეპიფანია ბაქრდის უარი იმიტომ უთხრეს, რომ ანჯელინა ძალიან გამხდარი – გაგრძელებული ინფორმაციით, მხოლოდ 40 კილოგრამს იწონის.

### გამძრალი ადამიანები

ადამიანები უგზოუკვლოდ ხშირად იკარგებიან. მსოფლიო ადამიანთა გაუჩინარების რამდენიმე ლეგენდას იცნობს. ასე, მაგალითად: 1809 წელს, დიპლომატი ბენჯამინ ბატერსი, რომელიც გერმანიაში იმყოფებოდა, სასტუმროდან გაუჩინარდა. ზოგი თვლიდა, რომ დიპლომატი მოკლეს, ან თავი მოიკლა. ასევე, არსებობდა ვერსია, რომ ის საფრანგეთის მთავრობამ გაიტაცა, თუმცა რა მოხდა სინამდვილეში, არ გარკვეულა.

1974 წლის 8 ნოემბერს, ერთ-ერთი ბრიტანელი ლორდის ყოფილი ცოლის სახლში გარდაცვლილი ბავშვების ძიდა აღმოაჩინეს. ამის შემდეგ, ლორდი გაუჩინარდა და, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებდნენ, მის კვალს ვერ მიაგნეს. ამიტომ, ორი ათეული წლის შემდეგ, ლორდი გარდაცვლილად სცნეს.

1483 წელს, ედუარდ მეოთხე გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძმა, რიჩარდ მესამე ავიდა, რომელმაც ედვარდის ორი პატარა შვილი უკანონო შვილებად გამოაცხადა. ისინი ლონდონის თაურერში გამოკეტეს, საიდანაც ბავშვები მალე გაქრნენ.

გადმოცემით, რიჩარდმა ბავშვები მოკლა, თუმცა რა მოხდა სინამდვილეში, არავინ იცის.

1920 წელს სოციალისტი ვიქტორ გრეისონი ინგლისის პარლამენტში აირჩიეს. ერთ საღამოს კი, გაუჩინარდა. მანამდე, მეგობრებს განუცხადა, ცოტა ხნით სასტუმროდან გავალ და მალე დაებრუნდები.

ვარაუდობენ, რომ გრეისონი მოკლეს. მკვლელობის ერთ-ერთ მიზეზად ის გამოიძიება სახელდება, რომელსაც დეპუტატი მთავრობაში კორუფციის გამოსაველენად აწარმოებდა.

1900 წელს, ბრიტანეთში, კერძოდ, შოტლანდიურ კუნძულ ფლენანზე შუქურის სამი დარაჯი გაუჩინარდა. დარაჯების გაქრობის მრავალი ვერსია არსებობს, მათ შორის, ითქვა, რომ ისინი უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს...





თომა ჩაბელიშვილის ფილმის – „მესხები“ გადაღება. ზურა მებრეღიშვილის ფოტო

ჯანსუღის სიცილნათელაბი

**საბი თაობა**  
მე რა ვუყო, თუ არ ესმის, რომ ისაა მამამისზე უარესი, აბა, რა ვქნათ, მოგონებას არვიც გვაცდის, მამამისის მამა იყო კაი კაცი.

**„ნაცვალი“**  
სიმართლისკენ მიმავალი გზა დაშლილი, თქვენ გჭულთ ბიძინა, მაგრამ გიყვართ სააკაშვილი.

**დედიკოს ლაფსუსი**  
არც სომეხი მტრობს, არც – რუსი, მტრობს შენი მტრობის ისარი, შენი დედიკოს ლაფსუსი, შენ რომ დაგებადა, ის არი.

**თამაზ ნიკლაშურს!**  
ვერ გმაღავდი სიხარულს, ან ავი წამომცდება სად? ვუსმენდი თემურ ნიკლაურს, სიმღერის საოცრებაა. რომ მოგატყუო, არ მინდა, გვარში მტრობას ვერ შევიტან, შენი კაცური გვარიდან მხოლოდ ერთ ბოროტს ვერ ვიტან.

**ლალატი**  
შევარდნადის ნაბიჭვრებმა ულალატეს შევარდენს, ვარდებით და ავტომატით პარლამენტში შევარდენს. „წერაობა“ მასსენდება, მართლა დასაწერებო, „მოქალაქეთა კავშირის“ სულ პირველო წევრებო.



თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ეიშელაბი – „ეპერჯენსი“



დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია



მთავარი რედაქტორი: ჯანსუღ ჩარკვიანი  
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი  
სარედაქციო კოლეგია:  
ჭაჭაპა ამირეჯიანი, მერაბ ბარბაქაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, თეიმოზ გოცაძე, ეზარ კვიციანი, არმაზ სანაშელიძე.

მედია-ჯგუფი: მერიკა კახაძე, ნათია გომბიტიძე, ნათია ვერძელი.  
დიზაინერი და ფოტოკორექსორდენტი: ზურა მებრეღიშვილი.

გაზეთი რეპროდუცირებულია რეპროდუქციის უფლებების (საბალანსაბლო ინსაიდცია) მიერ. რეპროდუქციის №22851

მისამართი: 26 მარტის მოედანი. №1  
ტელ.: 272-63-90  
E-Mail: qartulicityva@gmail.com

გაზეთი მომზადდა თბილისის პრესის პრინციპით